

# როგორ გადადის საქართველოს კერძო და სახელმწიფო საკუთრება რუსეთის სახელმწიფო საკუთრებაში

ჟურნალი “თბილისელები” – 11 – 17 თებერვალი, № 7, 2008

საქართველოს პარლამენტმა მინისტრთა კაბინეტი არა მხოლოდ დაამტკიცა, მის მიერ წარმოდგენილ პროგრამასაც გამოუცხადა ნდობა. ეს ის პროგრამაა („ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“), რის შესახებაც პრემიერ-მინისტრმა საპრეზიდენტო არჩევნების გასრულებისთანავე მოგვახსენა და მისი რამდენიმე პრიორიტეტიც გაგვიხილა: ქვეყანა საერთაშორისო ფინანსურ ცენტრად უნდა იქცეს, შეიქმნას თავისუფალი ეკონომიკური ზონები და 25-პროცენტის საშემოსავლო გადასახადი (რომელიც 2008 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა და დაქირავებულებს დააწვა ტვირთად) 15-პროცენტამდე შემცირდესო. ამ ყოველივეს მიზანი კი, რა თქმა უნდა, სიღარიბის ერთხელ და სამუდამოდ დამარცხებაა. პარლამენტის წევრი ვლადიმერ პაპავა ბოლომდე არ იზიარებს მთავრობის ოპტიმიზმს, თუმცა ამ პროგრამის შეფასებამდე, რაკი პრივატიზაციისა და სტრატეგიული ობიექტების გრძელვადიანი იჯარით გაცემის საკითხი ისევ დადგა, იმის გარკვევას შეეცდებით, რატომ დაერქვა პრივატიზაცია ქართული სახელმწიფო ქონების (თანაც მომგებიანის) სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემას.

ვლადიმერ პაპავა: ჩვენ, რატომღაც, პრივატიზაციას ვუწოდებთ სხვა სახელმწიფოს კაპიტალის შემოსვლასაც. მაგალითად, „თბილგაზი“ იყიდა ყაზახურმა კომპანიამ, რომელიც ასი პროცენტით სახელმწიფო საკუთრებაა. მაშასადამე, გამოვიდა, რომ საქართველოს სახელმწიფო საკუთრება ყაზახეთის სახელმწიფოს გადაეცით, რითაც ჩვენმა მთავრობამ აჩვენა, რომ

ყაზახი სახელმწიფო მენეჯერები უკეთესი მენეჯერები არიან, ვიდრე ქართველი სახელმწიფო მენეჯერები. ფაქტია, რომ სახელმწიფო ქონების ამგვარად გასხვისებას არ შეიძლება, ეწოდებოდეს პრივატიზაცია. რაც შეეხება „თელასს“: ეს უფრო რთული შემთხვევაა, რადგან თავის დროზე „თელასი“ ამერიკულმა კერძო კომპანიამ იყიდა, ანუ მაშინ მართლაც მოხდა პრივატიზაცია, მაგრამ შემდეგ, როდესაც ამერიკული „ეი-ი-ესი“ არა მხოლოდ საქართველოში გაკოტრდა, მისგან „ეი-ი-ეს თელასის“ აქტივები რუსულმა „რაო ექსმა“ შეიძინა. შემიძლია სხვა მაგალითიც მოგიყვანოთ: „გაერთიანებული ქართული ბანკი“, თავის დროზე კერძო ბანკი გახლდათ, სიდიდით მესამე და მისი აქტივები იყიდა „ენეშტორბანკმა“, რომლის, პრაქტიკულად 99 პროცენტს რუსეთის მთავრობა აკონტროლებს. ასე, რომ მოხდა უკვე პრივატიზებული კერძო ბანკის ნაციონალიზაცია, ოღონდ მესაკუთრე გახდა არა ქართული, არამედ რუსული სახელმწიფო. ეს კიდევ უფრო უარესია, ვიდრე სახელმწიფო ქონების მეორე სახელმწიფოსთვის გადაცემა. ასევე, დღეს ლაპარაკია „საქართველოს რკინიგზისა“ და ფოთის პორტის პრივატიზაციაზე ან მათი გრძელვადიანი იჯარით გადაცემაზე, რაც, ჩემი აზრით, დიდი შეცდომაა, რადგან სერიოზულ დარტყმას მიაყენებს საქართველოს, როგორც სატრანზიტო დერეფნის, ახლად შექმნილ საერთაშორისო-ეკონომიკურ ფუნქციას. ვნახოთ, ვინ არის დაინტერესებული საქართველოში ამ ობიექტების შექმნით?! რუსები, რა თქმა უნდა. ისინი სულელები არ არიან, მათ შეიძლება, მესამე ქვეყანაში დააფუძნონ ფირმა და თავიდან ვერც მიხვდეს, რა ფირმაა ეს; შესაძლოა, მართლაც ვიღაც უცხოელმა იყიდოს ეს ობიექტები, მაგრამ გავიხსენოთ „ეი-ი-ესის“ შემთხვევა. ანუ დღეს რკინიგზისა თუ ფოთის პორტის, თუნდაც, მართვის უფლებით გადაცემით რუსეთია დაინტერესებული და, ამდენად, მათი პრივატიზაცია ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ შეცდომა.

– პროგრამის გამოქვეყნებამდევე თქვა პრემიერ-მინისტრმა, რომ საქართველო უნდა იქცეს საერთაშორისო ფინანსურ ცენტრად. ეს რას ნიშნავს?

– ამ დოკუმენტიდან ამ დასკვნის გაკეთება ცოტა არ იყოს რთულია, მაგრამ სიტუაციას შემდეგი რამ ამარტივებს: ამ დოკუმენტის გამოქვეყნებამდე

მთავრობამ პარლამენტში წარადგინა კანონპროექტების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს ცვლილებებს მოქმედ კანონში და, მათ შორის, არის ახალი კანონპროექტიც „გლობალური კონკურენტუნარიანობის“ შესახებ, რომელშიც არის ჩანაწერები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იქცეს საქართველო საერთაშორისო-ფინანსურ ცენტრად. ძირითადი იდეაა, რომ გარკვეული შედეგათები უნდა დაუწესდეს იმ ფინანსურ კომპანიებს, რომელთა შემოსავლები საქართველოში მათი ჯამური შემოსავლების 10 პროცენტს არ აღემატება.

**– ესე იგი, ქართული კომპანიები თამაშგარედ რჩებიან?**

– ჩანაწერში ეს არ წერია, მაგრამ, რეალურად, ლაპარაკია უცხოურ კომპანიებზე, რადგან ქართული კომპანიები, ძირითადად, საქართველოში ეწევიან საქმიანობას. ამდენად, გამოდის, რომ უცხოურ კომპანიებს გარკვეული საგადასახადო შედეგათები უნდა მიენიჭოს, რომ საქართველო მათთვის მიმზიდველი გახდეს.

**– მერედა, ეს როგორ იმოქმედებს ჩვენს, ისედაც ფრთაშეკვეცილ, ბიზნესზე?**

– სწორედ ეს კითხვა მაწუხებს მეც და ამიტომაც ჩემთვის ეს ჩანაწერი მიუღებელია. ეკონომიკისთვის იდეალური მდგომარეობა თანაბარი პირობებია და ჩვენ ამას პირველივე კურსიდან ვუხსნით სტუდენტებს.

**– თუ არის განმარტებული, რა შედეგათებზეა ლაპარაკი?**

– ძირითადად, ფასიანი ქაღალდების ოპერაციებზე არსებულ საგადასახადო შედეგათებზე, ანუ, პრაქტიკულად, ყველა ფინანსური ოპერაცია თავისუფლდება გადასახადებისგან.

**– ვისი ინტერესი ჩანს ამ მდგეაში?**

– ინტერესი ყოველთვის დევს ამა თუ იმ კანონში, თუმცა ქვეყნის ინტერესიცაა, რომ ქვეყანა მიმზიდველი იყოს ცნობილი ბრენდებისა და ფინანსური ორგანიზაციებისთვის, რომ მათ აქ გახსნან თავიანთი ოფისები და განახორციელონ ფინანსური ოპერაციები. რაც უფრო განვითარდება ეს სექტორი, მით

უკეთესი. რა არის ცუდი იმაში, თუ აქ შემოვა მსხვილი ბანკები, მსხვილი ფინანსური კორპორაციები?! ეს არის წმინდა ფინანსური ოპერაციები, რეალური ეკონომიკური პროცესები შესაძლოა, საქართველოში არც განხორციელდეს, თუმცა, რომც განხორციელდეს, ესეც არ არის ცუდი.

– უხეშად რომ ვთქვათ, საქართველო უნდა იქცეს ერთ დიდ ბანკად?

– შეიძლება, გახდეს ერთ-ერთი მსხვილი რეგიონული ფინანსური ცენტრი. მე ამას მივესალმები, მაგრამ, თუ ვაწესებთ შეღავათებს, ისინი ყველასთვის ერთნაირი უნდა იყოს. უცხოელი მაინც შემოვა, რადგან ის ფინანსურად ისედაც ძლიერია და, თუ ეს შეღავათი მისთვის მიზიდველი იქნა, შემოვა, მაგრამ ქართულ კომპანიასაც უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ მისი საქმიანობა არ ჩაკვდეს?! წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სფერო საერთოდ არ განვითარდება საქართველოში.

– რაკი საქმე მაინც ფასიან ქაღალდებს ეხება, ვლადიმერ გურგენიძე კი თავის ბანკთან მიმართებაშიც გამოირჩეოდა იდეების სიმრავლით, საერთაშორისო ფინანსური ცენტრის შექმნაც მისი იდეაა?

– ვერ გეტყვით, მაგრამ ვლადიმერ გურგენიძე მაინც ბიზნესიდანაა მოსული და სახელმწიფოს მართვასაც, როგორც ბიზნესს, ისე უყურებს, რაც შეცდომაა, რადგან დასავლეთში ეს ორი მიმართულება დიდი ხანია, ერთმანეთისგან გამიჯნულია. ასეა თუ ისე, ცუდი იქნება, თუ გურგენიძე საქართველოს ერთ დიდ ბანკად ან ერთ დიდ ფინანსურ კორპორაციად ჩამოაყალიბებს. თუმცა, მეორე მხრივ, ცნობილია, რომ სამთავრობო იდეების მთავარი გენერატორი კახა ბენდუქიძეა. თუმცა მან თვითონვე აღიარა, რომ საზოგადოებაში ცუდი იმიჯი აქვს და ამიტომაც ასეთი რამ მოიფიქრეს: თითქოს ჩამოაშორეს მთავრობას, მაგრამ ის ძალიან გავლენიანი პიროვნება ხდება, რადგან კანცელარიის გამგეა. აქამდე ის პარლამენტში მთავრობის მიერ მომზადებულ დოკუმენტებს წარმოადგენდა, მისი დღევანდელ თანამდებობაზე დანიშვნა კი იმას ნიშნავს, რომ პარლამენტში ვერც ერთი დოკუმენტი ვერ ეშვა, თუ ის კანცელარიის გამგის, ანუ კახა ბენდუქიძის

მიერ არ იქნება ვიზირებული. მართალია, ეს ვიზირება ფორმალურია, მაგრამ წარმოგიდგენიათ, რომ არც კი ვიცი ქართველი თუ რუსი ოლიგარქი მხოლოდ ქაღალდების გადატან-გადმოტანით იყოს დაკავებული?! ამ ფუნქციის შესასრულებლად ერთ მოადგილეს იპოვის, თვითონ კი იქნება ყველა იმ დოკუმენტის ცენზორი, რომელსაც მთავრობა წარუდგენს პარლამენტს. ამგვარად პრაქტიკულად კახა ბენდუქიძე ჩვენი მთავრობის ჩრდილოვანი პრემიერ-მინისტრი ხდება.

**– საქართველოს საერთაშორისო ფინანსურ ცენტრად ქცევა უკავშირდება თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნას?**

– ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა, რასაც ლაღო გურგენიძე საერთაშორისო საფინანსო ცენტრს უკავშირებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს თემები ერთმანეთთან კავშირში არ არის. რატომ არის მიუღებელი ჩემთვის თავისუფალი ეკონომიკური ზონა: ჯერ ერთი, იმიტომ რომ საქართველოში ეკონომიკა კარგა ხანია, ლიბერალიზაციის გზას დაადგა. ჩვენი კანონმდებლობით ძალიან ბევრი რამ, რაც დაკავშირებულია საგარეო თუ შიდა ვაჭრობასთან, ბიზნესთან, საკმაოდ ლიბერალურია. თითქმის მინიმუმამდგა დაყვანილი შეზღუდვები, გამარტივებულია ნებართვების აღება, არანაირი შეზღუდვები არ გვაქვს უცხოელი ინვესტორის მიერ მიღებული რეპატრიაციისაზე, საქართველოში სავიზო რეჟიმიც კი გამარტივებულია უცხოელების შემოსვლა-გასვლაზე.

**– ეს გამარტივებულის სავიზო რეჟიმი ორმხრივია?**

– რა თქმა უნდა, არა, ჩვენ გავამარტივეთ სავიზო რეჟიმი ერვოკავშირის ქვეყნებთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ბევრ სხვა ქვეყანასთან, ასევე, რუსეთთანაც: რუსეთის მოქალაქეები საზღვრის გადაკვეთისას ყიდულობენ ვიზას. ასეთ პირობებში კი თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა დიდი ეფექტის მომცემი არ უნდა იყოს, იმიტომ რომ ქვეყანა ისედაც ლიბერალურია. გარდა ამისა, არის მეორე მომენტი: ქვეყანაში, რომელშიც ლიბერალური ეკონომიკური რეჟიმია, თავისუფალი ეკონომიკური ზონის

შექმნას კიდევ აქვს გამართლება, თუკი იქ ინვესტიციების სიჭარბეა: როდესაც ქვეყნის ეკონომიკას აღარ შეუძლია, აითვისოს ის ინვესტიციები, რომლებიც იმ ქვეყანაში გააჩნიათ ინვესტორებს, ასეთი ქვეყნებიდან ინვესტიციები გაედინება და ამის თავიდან ასაცილებლად ქმნიან ხოლმე თავისუფალი ეკონომიკური ზონები, ანუ კიდევ უფრო ლიბერალურ ეკონომიკურ რეჟიმს. ამასთან, არის ქვეყნების მეორე კატეგორია, რომლებსაც, სამწუხაროდ, საქართველოც განეკუთვნება, სადაც ინვესტიციური შიშშილია. ასეთ ქვეყნებში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა, ინვესტიციურ შიშშილს კიდევ უფრო გაზრდის, იმიტომ რომ უცხოელი ინვესტორი შემოდგა არა ზოგადად ქვეყანაში, არამედ კონკრეტულად ზონაში. უფრო მეტიც, უკვე ადგილობრივი ინვესტორიც აღარ იფიქრებს თავისი წარმოების გაფართოებაზე, ვთქვათ, ქუთაისში ან რუსთავში, ის, თუკი საინვესტიციო რესურსი გაუჩნდება, მის ჩადებას იფიქრებს თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში, კონკრეტულად ფოთში.

**– ისევ ფოთშია აქტუალურით ავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა?**

– დიახ, ისევ ფოთსა და მის შემოგარენზეა ლაპარაკი. მართალია, იქ ხალხიც დასაქმდება და ინფრასტრუქტურაც განვითარდება, მაგრამ ეს მოხდება დანარჩენი საქართველოს ხარჯზე. ეს კი მთელი ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება. ამიტომაც ვარ ამის წინააღმდეგი. რაც შეეხება ამ პროგრამის ყველაზე მთავარ საკითხს, რომელიც, ცოტა არ იყოს კურიოზულია. მთავრობის მიერ წარმოდგენილ პროგრამას ჰქვია: „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“. „სიღარიბის გარეშე“ ნიშნავს, რომ ქვეყანაში სიღარიბე აღარ უნდა იყოს. მოდი, ვნახოთ, რა წერია ამის შესახებ ამ დოკუმენტში: „საგრძნობლად შემცირდება სიღარიბე: ხუთ წელიწადში სოციალური პროგრამების ბენეფიციართა 50 პროცენტი მათი კეთილდღეობის გაუმჯობესების გამო გამოვა ბენეფიციართა სიებიდან“, ანუ ამ დოკუმენტის მიხედვით სიღარიბის პრობლემა კონცენტრირებულია მოსახლეობის იმ ნაწილში, რომლებიც სოციალური პროგრამიდან იღებენ გარკვეულ დახმარებას და ლაპარაკია, რომ ასეთთა რაოდენობა მხოლოდ 50 პროცენტი შემცირდება.

– თუმცა სიღარიბის დაძლევის მიმდინარე პროგრამაში ყველა ღარიბი ვერ მოხვდა დაფინანსების სიმცირის გამო.

– ეს თემა გვერდზე დავტოვოთ და იმაზე ვისაუბროთ, რაც ამ დოკუმენტშია. ამ დოკუმენტის მიხედვითაც კი, ბენეფიციართა 50 პროცენტი დარჩება, ესე იგი ქვეყანა სიღარიბის გარეშე ვერ იქნება. მაშასადამე, თვითონ პროგრამის სახელწოდება ეწინააღმდეგება მის შინაარსს. საქმე ის გახლავთ, რომ სიღარიბეს ორი რაკურსი აქვს: არსებობს აბსოლუტური და ფარდობითი სიღარიბე. გაეროს სტანდარტით: აბსოლუტურად ღარიბია ის ადამიანი, რომელიც დღეში 2 აშშ დოლარზე ნაკლებს მოიხმარს, ხოლო აბსოლუტურად დატაკია ის, ვინც დღეში 1 აშშ დოლარზე ნაკლებს მოიხმარს. ამიტომ, თუ ლაპარაკია ქვეყანაში აბსოლუტური სიღარიბის დაძლევაზე, მაპატიეთ, მაგრამ ამას ხუთი წელი არ სჭირდება და, თუ მთავრობა ამას ერთ წელიწადში არ გაკეთებს, ეს მისი ცუდი მუშაობის შედეგი იქნება. რაც შეეხება ფარდობით სიღარიბეს: ის იცვლება ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების დონის მიხედვით. მოვიყვან მაგალითს: იცით, რომ ამერიკა მსოფლიოში ყველაზე განვითარებული სახელმწიფოა, მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამერიკაში სიღარიბის პრობლემა არ არსებობს; ითვლება, რომ ამერიკის მოსახლეობის 12 პროცენტი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს.

– თუ ოფიციალურ მონაცემებს დავუჯერებთ, სიღარიბესთან ბრძოლაში გაგვისწრია ამერიკისთვის.

– მაგრამ, მოდი, ვნახოთ, რას ნიშნავს სიღარიბის ზღვარი ამერიკის შეერთებულ შტატებში?! ღარიბად ითვლება ოჯახი, რომლის თითოეულ წევრს წლიურად არა უმეტეს 5 000 აშშ დოლარი შემოსავალი აქვს. საქართველოში წლიურად 5 000 აშშ დოლარის შემოსავლის მქონე ადამიანი შეძლებულია. ამით იმის თქმა მინდა, რომ ეკონომიკური განვითარების მიხედვით იზრდება მოსახლეობის კეთილდღეობაც და სიღარიბის ზღვარიც მალა და მალა

იწვევს. აქედან გამომდინარე, ფარდობითი სიღარიბის დაძლევა შეუძლებელია, ისევე, როგორც პერპეტუუმ-მობილეს გამოგონება.

**ნინო ხაჩიძე**